MES 8 23 0001258417

28/09/2023

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

დავით მალაზონია - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
მანანა ჯინჭარაძე - სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორთა ეროვნული სკოლის კონსულტანტი, საბჭოს მდივანი;
გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;
პეტრე ბაბილუა - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი, საბჭოს წევრი;
მაკა მამფორია - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
ზვიად გოგუაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქალაქ ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
მორის დანდურიშვილი - სსიპ-ქალაქ ხაშურის N1 საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, საბჭოს წევრი;

ეკატერინე კვირიკაშვილი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ძველი თბილისის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
ნატო გაბოშვილი - „ახალი სკოლის მოდელის“ მხარდამჭერი პროგრამის მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, საბჭოს წევრი;
შალვა მეკრავიშვილი - სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, საბჭოს წევრი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომ ადგენლები:

ნინო ცხოვრებაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
ნათია კვირიკაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მთავარი სპეციალისტი;
გვანცა ნინიძე -ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ნია გრიგალაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის უფროსი სპეციალისტი;
მარი მგელაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის უფროსი სპეციალისტი;
თეა ლილუაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის უფროსი სპეციალისტი;
ქეთევანი კევლიშვილი -ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

სსიპ - ჟიული შარტავას სახელობის ქალაქ რუსთავის N4 საჯარო სკოლა
მამუკა ხამხაძე - დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

სსიპ - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. ახალქალაქის N3 საჯარო სკოლა
თამარ ოძელაშვილი - დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქალაქ ხაშურის №9 საჯარო სკოლა
მაია გრიგალაშვილი-გელაშვილი - დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

სსიპ -კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ კავთისხევის საჯარო სკოლა
ნელი ჯანანაშვილი - დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

სსიპ - თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ტუშურების საჯარო სკოლა
მზია მამულაშვილი - დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხელთუბნის საჯარო სკოლა
ფიქრია მუმლაძე - დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტე ბი):

სსიპ - ჟიული შარტავას სახელობის ქალაქ რუსთავის N4 საჯარო სკოლა

ა) ნანა მონიავა (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) თეა ელერდაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ხათუნა ნოზაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) სოფიო ხვადაგიანი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ხათუნა ფანცულაია (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ეკა სიმსივე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ნანი სალია (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) გიორგი ჩაჩუა (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ნათია ბალხამიშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) თამარ თავშავაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) კობა დეკანაძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. ახალქალაქის N3 საჯარო სკოლა

ა) ლიანა კობესაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ლანა ყურაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) თამარ ბერიძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ნიკოლოზ გურგენიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) თინათინ ბეგიაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) სოფიო გელაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) მარინე ჩახვაშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი,, წევრი);
თ) ხათუნა ქერაშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) შაქრო ჟღენტი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ქეთევან ქობალია (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ნათია კოხოძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქალაქ ხაშურის №9 საჯარო სკოლა

ა) ლიანა კობესაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ხატია მჭედლიშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ლია ბოგვერაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) მაყვალა გრძელიშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ზურაბ ურიადმყოფელი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) თეონა ჯაფარიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) თემური კურცხალია (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ილონა აკობია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ნანა ცინცაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ალექსანდრე ჩახნაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ლელა მანგოშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ -კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ კავთისხევის საჯარო სკოლა

ა) მანანა ალიბეგაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ნინო შუბლაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) მზევინარი დარბაისელი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) სოფიკო სიუკაევა (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) მაკა ნადარეიშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) მადონა ბობოხიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ნანა ყანჩაშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ლია ცერცვაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ჯულიეტა ტაბეშაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ქეთევან ქობალია (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) მანანა როსტომაშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ტუშურების საჯარო სკოლა

ა) ნათელა ბასილია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) მზია გელაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ეთერ ბროლაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) კახა გალდავა (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ნინო მოლაშხია (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) მარინე რეხვიაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) გიორგი ჩაჩუა (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ირინე ჯანაშია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ნანა ცინცაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) კობა დეკანაძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ქეთევან ცირეკიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხელთუბნის საჯარო სკოლა

ა) ლელა ფიცხელაური (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) მაია მამისეიშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ვახტანგი კურცხალია (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ნიკოლოზ გურგენიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) თინათინ ბეგიაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) მადონა ბობოხიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ვერა გუდაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) თეა გაბისონია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ნონა გორგილაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) მარინა ანესაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ეკატერინე კვირკველია (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99 /ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) 17-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია. საბჭოს სხდომა 2023 წლის 14 სექტემბერს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 14:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

საბჭოს თავმჯდომარემ, საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა, სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით, სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 20-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. სსიპ - ჟიული შარტავას სახელობის ქალაქ რუსთავის N4 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. ახალქალაქის N3 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქალაქ ხაშურის №9 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ კავთისხევის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ტუშურების საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხელთუბნის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ, განაცხადა თვითაცილება სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქალაქ ხაშურის N9 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვასთან მიმართებით, ვინაიდან საბჭოს წევრი წარმოადგენდა რესურსცენტრს, რომლის დაქვებდებარებაშიც იყო აღნიშნული სკოლა. საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.

დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა დააყენა ცენტრის წარმომადგენელმა, კერძოდ, დღის წესრიგს დამატებოდა შემდეგი საკითხი: შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 13 სექტემბრის

N1144739 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ, საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა. წარმოდგენილი შუამდგომლობების გათვალისწინებით, დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 13 სექტემბრის N1144739 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ჟიული შარტავას სახელობის ქალაქ რუსთავის N4 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. ახალქალაქის N3 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქალაქ ხაშურის №9 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ კავთისხევის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ტუშურების საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
7. სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხელთუბნის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

1. შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 13 სექტემბრის N1144739 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა

ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს სხდომაზე განმარტა, რომ „შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 13 სექტემბრის N1144739 გადაწყვეტილებაში არ იყო მითითებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი. დაწესებულების შუამდგომლობის მიხედვით, რომელიც საბჭოს წევრების მიერ გაზიარებულ იქნა, გადაწყვეტილება ძალაში უნდა შესულიყო საბჭოს სხდომის ჩატარების დღეს, 2023 წლის 30 აგვისტოს. შესაბამისად, მიზანშეწონილი იყო ცვლილება განხორციელებულიყო აღნიშნული გადაწყვეტილებაში და დამატებოდა 4^1 პუნქტი, რომლიც ჩამოყალიბდებოდა შემდეგნაირად:
,,4^1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2023 წლის 30 აგვისტო;“
საბჭოს წევრებმა ერთხმად გაიზიარეს წარმოდგენილი შუამდგომლობა. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 13 სექტემბრის N1144739 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, „შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 13 სექტემბრის N1144739 გადაწყვეტილებაში შევიდეს ცვლილება, დაემატოს მე-4^1 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:
,,4^1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2023 წლის 30 აგვისტო;“

2. სსიპ - ჟიული შარტავას სახელობის ქალაქ რუსთავის N4 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნანა მონიავამ.
ექსპერტმა ნანა მონიავამ აღნიშნა, რომ დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 08 და 09 ივნისს. დაწესებულება მდებარეობდა ქალაქ რუსთავში, ლეონიძის ქუჩა N26ა-ში. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულება ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებდა ქართულ ენაზე. სკოლას მოთხოვნილი ჰქონდა მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობ 1800 მოსწავლით, რასაც ექსპერტთა ჯგუფის წევრები ეთანხმებოდნენ.
ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარემ ყურადღება გაამახვილა, დასკვნაში დაშვებულ ტექნიკურ ხარვეზზე. პირველი სტანდარტი დასკვნაში შეფასებულია მეტწილად შესაბამისად, ნაცვლად შესაბამისად. 1.2 კომპონენტი შეფასდა მეტწილ შესაბამისად და სწორედ ამიტომ პირველი სტანდარტი იყო შესაბამისი სტანდარტის მოთხოვნებთან, ასევე 4.2 კომპონენტი შეფასდა მეტწილად, ამიტომ მეოთხე სტანდარტი იყო შესაბამისი სტანდარტთან. აღნიშნულთან დაკავშირებით ექსპერტმა განმარტება სთხოვა ცენტრს, რასაც დაეთანხმა ცენტრის წარმომადგენელი. მესამე სტანდარტი შეფასდა ნაწილობრივ შესაბამისად, გამომდინარე

იქიდან, რომ 3.3; 3.4; 3.5; 3.6; კომპონენტები შეფასდა მეტწილად, ხოლო მეორე სტანდარტი შეფასდა შესაბამისად."
ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარემ ისაუბრა სკოლისთვის მიცემულ რეკომენდაციებზე და რჩევებზე, რომლებიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნაში.
ექსპერტის განცხადებით, შენობა რეაბილიტირებული იყო მილენიუმის ფარგლებში, თუმცა არ ჰქონდა პანდუსი. სკოლაში ფუნქციონირებდა 3 კომპიუტერული ლაბორატორია, ასევე ფიზიკისა და ქიმიის ლაბორატორია. სკოლაში იყო ფართო და ნათელი ფოიეები, რომლებსაც სკოლა იყენებდა შემოქმედებითი ღონისძიებების გასამართად. სკოლას ჰქონდა სრულად აღჭურვილი სამედიცინო ოთახი, რესურსოთახი, ბიბლიოთეკა, სპორტული და სააქტო დარბაზები.
საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან
საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს, თუ როგორ იყენებს სკოლა ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის ნაწილში წარმოდგენილი დიაგნოსტიკური ტესტირების შედეგებს.
სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, მამუკა ხამხაძემ, განაცხადა, რომ დაწესებულებაში აღნიშნული პრაქტიკა დამკვიდრებულია 2007 წლიდან. დიაგნოსტიკური ტესტირების ჩატარების შემდეგ, შემდგომი განვითარების მიზნით ხორციელდება შემდეგი აქტივობები: დირექციისა და კათედრების მონაწილეობით ხდება მონაცემაბის დამუშავება, როგორც სტატისტიკურად, ასევე თვისებრივი სახის, შესაბამისი მიგნებების გამოვლინება, ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენა, მეთოდიკის გამოყოფა.
საბჭოს წევრმა, ბორის დანდურიშვილმა, კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს, ნამდვილად იყო თუ არა სკოლის სველ წერტილებში ოთხივე სართულზე დამონტაჟებული ვიდე კამერები.
სკოლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ 2018 წელს სკოლის უსაფრთხოების მიზნით სკოლის სველ წერტილებში დამონტაჟდა ვიდეოკამერები, ხოლო რეგულაციებში ცვლილების შესვლის შემდეგ 2019 წლიდან ვიდეოკამერების გამოირთო ქსელიდან.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს, ჰქონდა თუ არა დაწესებულებას შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნა.
სკოლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დაწესებულებას შენობის მდგრადობის დადგენის შესახებ უკვე ჰქონდა შესაბამის ორგანოებთან გადაგზავნილი წერილი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ აღნიშნა, რომ შეფასების სქემის მიხედვით, დაწესებულებისთვის უნდა განსაზღვრულიყო მონიტორინგი 2 წლის ვადაში.

საბჭოს თავმჯდომარემ, კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ჟიული შარტავას სახელობის ქალაქ რუსთავის N4 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1800-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11
წინააღმდეგი - 1

საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა განმარტა, რომ დაწესებულებას არ ჰქონდა შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნა. შესაბამისად, მოსწავლეთა უსაფრთხოებისა და მათი საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, არ დაუჭირა მხარი სკოლის ავტორიზაციას.

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-4 პუნქტების, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2[1] და მე-3 პუნქტებისა და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ჟიული შარტავას სახელობის ქალაქ რუსთავის N4 საჯარო სკოლას (ს/კ: 216317439) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1800 - ით.

დაწესებულებას მიეცეს უფლება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი რუსთავი, ლეონიძის ქ. N26ა
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი რუსთავი, ლეონიძის ქ. N26ა
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი რუსთავი, ლეონიძის ქ. N26ა

დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია სკოლის სველ წერტილებსა და სპორტული დარბაზის შესასვლელში მოხდეს ვიდეოკამერების დემონტაჟი.

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგის დაწყების პერიოდი: 2025 წლის სექტემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ადგილზე ვიზიტი;

მონიტორინგის ფარგლები: მესამე სტანდარტის 3.1; 3.4 და 3.6 კომპონენტები.

3. სსიპ- ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ ახალციხის N3 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ექსპერტმა ლია კობესაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, სსიპ - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ ახალციხის N3 საჯარო სკოლაში სავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 06 და 07 ივლისს. დაწესებულება მდებარეობდა, ქალაქ ახალქალაქში, თამარ მეფის ქუჩა N33-ში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს. პროგრამების განხორციელების ენა იყო ქართული. სკოლას თვითშეფასების კითხვარში მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 300 მოსწავლე.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განახორციელეს ადგილზე დათვალიერება, რის შედეგადაც ექსპერტებმა გამოავლინეს სტანდარტთან მიმართებით რამდენიმე კომპონენტის ხარვეზი, რომელიც სკოლის მიერ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის შემდეგ შემდეგნაირად შეფასდა: პირველი სტანდარტი შეფასდა, როგორც სტანდარტთან შესაბამისი. კომპონენტი 1.1 შეფასდა, როგორც სტანდარტთან შესაბამისი, ხოლო კომპონენტი 1.2 - მეტწილად შესაბამისი; მესამე სტანდარტი შეფასდა, როგორც ნაწილობრივ შესაბამისი. ხოლო თითოეული კომპონენტის შეფასება გადანაწილდა შემდეგნაირად: კომპონენტები: 3.1; 3.4. და 3.6. - მეტწილად შეესაბამება, ხოლო კომპონენტები: 3.2; 3.3.; 3.5 და 3.7. - შეესაბამება.
ექსპერტის, ლია კობესაშვილის, განცხადებით, ასევე, სრულ შესაბამისობაში იყო მეოთხე სტანდარტი.
ექსპერტის თქმით, მეორე სტანდარტი და მისი ყველა კომპონენტი შეფასდა სტანდარტის შესაბამისად.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერილი ვადების მიხედვით, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა, ლია კობესაშვილმა, ასევე გააზიარა სკოლის ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტო-მასალა და აღნიშნა, რომ სკოლა იყო ახლად რეაბილიტირებული და აღჭურვილი

ლაბორატორით, კომპიუტერულული ოთახით, სპორტული დარბაზით, ბიბლიოთეკით და საერთო სარგებლობის სივრცეებით რაც ექსპერტის განცხადებით მიანიშნებდა იმაზე, რომ სკოლა წარმოადგენდა სოციო-კულტურულ სივრცეს.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.
საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ, კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს და სთხოვა აეხსნა რატომ მისცეს მოწვეულ მასწავლებელს 17 საათი და ხომ არ ჰქონდა რესურსცენტრს ეს საკითხი შესწავლილი.
სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, თამარ ოძელაშვილმა, უპასუხა, რომ სკოლას არ ჰყავდა კონკრეტულ საგანში შესაბამისი კადრი და ვერც კონკურსების შედეგად ვერ ხდებოდა აყვანა, რის გამოც მისი გადაწყვეტილებით მოწვეულ მასწავლებელს ჰქონდა 17 საათიანი დატვირთვა.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა, გაამახვილა ყურადღება სკოლისა და ენების ცენტრის საზიარო ეზოზე და აღნიშნა, რომ ამ გარემოებამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას სკოლის უსაფრთხოებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, შუამდგომლობით მიმართა საბჭოს წევრებს მეორე სტანდარტის მონიტორინგის შესახებ. კერძოდ, მიუხედავად იმისა რომ სკოლა მოცემულ სტანდარტში ექსპერტებმა შეაფასეს შესაბამისობით, მათ მაინც ბევრი რამე ჰქონდათ გასაუმჯობესებელი, რაც დასკვნაშიც იყო რჩევების სახით დაფიქსირებული და მიზანშეწონილია მონიტორინგის განხორციელება.

საბჭოს წევრებმა ერთხმად გაიზიარეს წარმოდგენილი შუამდგომლობა.

საბჭოს თავმჯდომარემ, კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ ახალციხის N3 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 300-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11
წინააღმდეგი - 1

საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა განმარტა, რომ დაწესებულებას არ ჰქონდა შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნა. შესაბამისად, მოსწავლეთა უსაფრთხოებისა და მათი საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, არ დაუჭირა მხარი სკოლის ავტორიზაციას.

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო

დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-4 პუნქტების, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ ახალციხის N3 საჯარო სკოლის (ს/კ:223364222) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 300 - ით.

დაწესებულებას მიეცეს უფლება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი ახალქალაქი, თამარ მეფის ქ. N33
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი ახალქალაქი, თამარ მეფის ქ. N33
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი ახალქალაქი, თამარ მეფის ქ. N33

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგის დაწყების პერიოდი: 2025 წლის სექტემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ექსპერტთა ჯგუფის ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები: მეორე სტანდარტი სრულად. მესამე სტანდარტის კომპონენტები : 3.1, 3.4 და 3.6.

4.სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქალაქ ხაშურის N9 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ

აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ განცხადება გააკეთა თვითაცილების თაობაზე, რადგან სსიპ - ქალაქ ხაშურის N9 საჯარო სკოლა მდებარეობდა ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის სამოქმედო ტერიტორიაზე, ხოლო თვითონ იყო აღნიშნული რესურცენტრის უფროსი. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ლიანა კობესაშვილმა. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქალაქ ხაშურის N9 საჯარო სკოლაში ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 22 და 23 ივნისს. დაწესებულება მდებარეობდა ქალაქ ხაშურში, ოქტომბრის ქ. N24-ში. დაწესებულება სწავლას ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. სკოლას თვითშეფასების კითხვარში მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა მოთხოვნილი ჰქონდა 550-ით.

ექსპერტმა წარმოადგინა ოთხივე სტანდარტის შეფასება:

პირველი სტანდარტი: შეფასდა სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისად, რადგან კომპონენტი 1.1 შეფასდა შესაბამისად, ხოლო 1.2 შეფასებული იქნა მეტწილად.

მესამე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობის შეფასება განაპირობა კომპონენტების: 3.1 ; 3.4 ; 3.5; 3.6 მეტწილად შეფასებამ, ხოლო მეოთხე სტანდარტის მეტწილად შესაბამისობის შეფასება განაპირობა ორივე კომპონენტის: 4.1 და 4.2 მეტწილად შეფასებამ.

ექსპერტის განმარტებით მეორე სტანდარტი შეფასდა სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისად.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა რეკომენდაციები სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერილი ვადების მიხედვით, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ლიანა კობესაშვილმა ისაუბრა ექსპერტთა მიერ გამოვლენილი შეუსაბამობების თაობაზე და აღნიშნა, რომ სკოლას სხვადასხვა მისამართები უფიქსირდებოდა საჯარო რეესტრის მონაცემთა ბაზასა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N448-ე ბრძანებაში, რაც საჭიროებდა შესწორებას. ექსპერტმა ისაუბრა სკოლის ინფრასტრუქტურის თაობაზე. მან აღნიშნა, რომ მიზანშეწონილი იყო დაწესებულების ბიბლიოთეკის სივრცე გაფართოებულიყო, რადგან დაწესებულებას ჰქონდა წიგნების საცავი და მცირე ზომის სამკითხველო. ასევე, ექსპერტის განმარტებით სკოლის შიდა სივრცე არ იყო ადაპტირებული, შენობას არ ჰქონდა პანდუსი და ლიფტი.

ექსპერტმა წარმოადგინა ფოტო მასალა დაწესებულების ინფრასტრუქტურისა და რეკრეაციული ზონების შესახებ. მან აღნიშნა, რომ სკოლის შენობა რეაბილიტირებული იყო და ქმნიდა ყველა პირობას მოსწავლეთა ადაპტაციისთვის.

საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ინფორმაციით საბჭოს შეექმნა წარმოდგენა პირველ, მესამე და მეოთხე სტანდარტებთან მიმართებით, ხოლო მეორე სტანდარტი იყო სრულ შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან. მან დასვა შეკითხვა მეორე სტანდარტთან დაკავშირებით, თუ რას მიიჩნევდნენ ექსპერტები სწავლა-სწავლების პროცესის ძლიერ მხარედ, კონკრეტულად, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებით, რადგან აღნიშნული მიმართულების საგნობრივი ექსპერტი იმყოფებოდა ადგილზე ვიზიტზე და ჰქონდა შესაძლებლობა დაეთვალიერებინა და გაცნობოდა კურიკულუმით განსაზღვრულ საჭირო მატერიალურ რესურსებს.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ექსპერტმა, ლია ბოგვერაძემ, განაცხადა, რომ საბაზო-საშუალო საფეხურის კურიკულუმებში არ იყო ასახული კომპლექსური დავალებები, თუმცა წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების ბარათებისა და გასაუბრების საფუძველზე სკოლას ჰქონდა მზაობა მომავალი სასწავლო წლისათვის საგნის კურიკულუმებში შეეტანა კომპლექსური დავალებები. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლის საბუნებისმეტყველო ლაბორატორია აღჭურვილი იყო საჭირო ინვენტარით.

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ექსპერტმა, ლელა მანგოშვილმა, ისაუბრა დაწესებულების დადებით მხარეზე და დაამატა, რომ სკოლას ჰქონდა გამოცდილება დიფერენცირებული სწავლების კუთხით, ასევე ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარების გამოცდილება და კოლეგების ურთიერთდასწრების პრაქტიკა.

საბჭოს წევრმა შალვა მეკრავიშვილმა მიმართა შეკითხვით ექსპერტს, ლელა მანგოშვილს ინტეგრირებული გაკვეთილების თაობაზე: კონკრეტულად რომელი საგნების ინტეგრირება ხორციელდებოდა სკოლაში, ხოლო მისი მეორე შეკითხვა ეხებოდა საგანს: „მე და საზოგადოებას“, იგი დაინტერესდა თუ ვინ ასწავლიდა აღნიშნულ საგანს: საგნობრივი მიმართულების წარმომადგენელი, თუ დაწყებითი საფეხურის მასწავლებელი.

სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა დააზუსტა, რომ საგანს „მე და საზოგადოებას“ ასწავლიდა საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულების მასწავლებელი. ასევე დაამატა, რომ ინტეგრირებული გაკვეთილები ტარდებოდა ხელოვნებასა და ქართულშიც.

საბჭოს თავჯდომარემ მიმართა შეკითხვით სკოლის ხელმძღვანელს, თუ რა საჭიროებდა გაუმჯობესებას მეოთხე სტანდარტთან, კერძოდ, კი მოსწავლეთა მხარდაჭერასთან დაკავშირებით.

დაწესებულების ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ სკოლა მრავალ აქტივობას ახორციელებდა მოსწავლეთა სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის თვალსაზრისით, თუმცა არ ჰქონდა შექმნილი შესაბამისი დოკუმენტი.

საბჭოს თავჯდომარემ შეკითხვით მიმართა ექსპერტებს, სკოლაში არსებობდა, თუ არა მოსწავლეთა მხარდამჭერი გარემოებები.

ექსპერტმა, ლიანა კობესაშვილმა დაადასტურა ინფორმაცია დაწესებულებაში მოსწავლეთა მიმართ არსებული კეთილგანწყობილი, პოზიტიური გარემოს არსებობის თაობაზე, ასევე დაამატა, რომ სკოლა ყველა მოსწავლეს აძლევდა საშუალებას გამოევლინათ და განევითარებინათ მათი ინდივიდუალური შესაძლებლობები.

მათემატიკის ექსპერტმა ნანა ცინცაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებას მეექვსე და მეხუთეკლასელ მოსწავლეთათვის განხორციელებული ჰქონდა პროექტი „სად? რა? როდის?“, რომელიც ინიცირებული და ორგანიზებული იყო მეცხრეკლასელი მოსწავლეების მიერ.

ექსპერტმა, ლიანა კობესაშვილმა განმარტა, რომ დაწესებულების მიერ ვიზიტის პერიოდში წარმოდგენილი იყო მოსწავლეთა თვითმართველობის გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც, მოსწავლეთა მიერ ინიცირებული იყო სკოლისთვის შოთა რუსთაველის სახელის მინიჭება. დაწესებულებამ, ექსპერტის განმარტებით, აღნიშნული საკითხის თაობაზე დაიწყო წარმოება და მოსწავლეთა ინიციატივა განხორციელდა.

საბჭოს წევრმა, ნატო გაბოშვილმა მიმართა შეკითხვით მათემატიკის საგნობრივი მიმართულების ექსპერტს სკოლის USAID საბაზისო პროგრამაში ჩართულობის თაობაზე. იგი დაინტერესდა იმართებოდა თუ არა სამუშაო შეხვედრები სკოლაში პროექტის განხორციელების შედეგების განხილვის მიზნით.

ექსპერტმა, ნანა ცინცაძემ განმარტა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა მასალები პროექტის განხორციელების თაობაზე, ასევე მასწავლებელთა ურთიერთდასწრების დოკუმენტაცია.

საკუთარი აზრი გამოთქვა დაწყებითი კლასის მასწავლებელმა, თინა ძულიაშვილმა და აღნიშნა, რომ პედაგოგები ხშირად იკრიბებოდნენ გამოცდილებისა და შეხედულებების გაზიარების მიზნით, რასაც ადასტურებდა შეხვედრების ამსახველი ფოტო მასალა, ასევე კათედრების ოქმები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, კენჭისყრაზე სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქალაქ ხაშურის N9 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 550-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10
წინააღმდეგი - 1

საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა განმარტა, რომ დაწესებულებას არ ჰქონდა შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნა. შესაბამისად, მოსწავლეთა უსაფრთხოებისა და მათი საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, არ დაუჭირა მხარი სკოლის ავტორიზაციას.

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-4 პუნქტების, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქალაქ ხაშურის N9 საჯარო სკოლას (ს/კ: 243891507) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 550 - ით.

დაწესებულებას მიეცეს უფლება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი ხაშური, ოქტომბრის ქუჩა N24ქ. (ხაშური, ნ. დუმბაძის ქ. №276
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი ხაშური, ოქტომბრის ქუჩა N24ქ. (ხაშური, ნ. დუმბაძის ქ. №276
3		საშუალო	ქართული	

	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა			ქალაქი ხაშური, ოქტომბრის ქუჩა N24ქ. (ხაშური, ნ. დუმბაძის ქ. №276

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგის დაწყების პერიოდი: 2025 წლის სექტემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ცენტრში დოკუმენტაციის წარმოდგენითა და ადგილზე ვიზიტით;
მონიტორინგის ფარგლები: პირველი სტანდარტის 1.2 და მეოთხე სტანდარტის 4.1, 4.2 კომპონენტები (ცენტრში დოკუმენტაციის წარმოდგენით); მესამე სტანდარტის 3.1; 3.4; 3.5; 3.6 კომპონენტები (ადგილზე ვიზიტით).

5. **სსიპ-კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ კავთისხევის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა მანანა ალიბეგაშვილმა.
ექსპერტმა, მანანა ალიბეგაშვილმა, განაცხადა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის პირველი, მეორე და მეოთხე სტანდარტი შეფასდა შესაბამისად, მესამე სტანდარტი შეფასდა ნაწილობრივი შესაბამისად, ვინაიდან კომპონენტები 3.4 და 3.6 შეფასდა მეტწილად შესაბამისად.
ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებას უფიქსირდებოდა ხარვეზები, კერძოდ, სკოლას არ წარმოუდგენია საგანგებო უსაფრთხოების სამსახურთან შეთანხმებული საგანგებო უსაფრთხოების გეგმა, არ ჰქონდა შენობის მდგრადობის დამადასტურებელი დოკუმენტი. ასევე, სკოლას არ გააჩნდა ვებ-გვერდი. ექსპერტის თქმით, სკოლას მიეცა რეკომენდაცია საგანგებო უსაფრთხოების სამსახურთან გეგმის შეთანხმებასთან დაკავშირებით, ასევე, შენობის მდგრადობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის. ექსპერტის თქმით, სკოლამ შესაბამისობის გეგმის ფარგლებში წარმოადგინა საგანგებო სიტუაციების სამსახურთან შეთანხმებული გეგმა. ასევე, განაცხადა, რომ შენობის მდგრადობის შესახებ დოკუმენტი წარმოდგენილი იქნებოდა 2023 წლის 31 დეკემბრამდე. დაწესებულებას ექსპერტების მხრიდან, ასევე, მიეცა რეკომენდაცია ვებ-გვერდის ამოქმედებასთან, საჭირო უწყებასთან კომუნიკაციის

დამყარების, ვებ-გვერდზე ადმინისტრირებაზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრის, ვებ-გვერდზე ინფორმაციის განთავსების შესახებ. ექსპერტის თქმით, დაწესებულებამ შესაბამისობის გეგმის ფარგლებში წარმოადგინა ვებ-გვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის ბრძანება და განაცხადა, რომ ინფორმაცია შეტანილი იქნებოდა 2023 წლის 15 სექტემბრამდე.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერილი ვადების მიხედვით, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვა ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.

საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშილმა, კითხვით მიმართა ექსპერტებს, დაეზუსტებინათ მათი მიგნებები საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კურიკულუმთან დაკავშირებით. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, ექსპერტმა მზევინარ დარბაისელმა განაცხადა, რომ სკოლა სასწავლო პროცესს წარმატებით ახორციელებდა კონსტრუქტივისტულ, მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლა/სწავლების პრინციპებზე დაყრდნობით.

დავით მალაზონიამ, კითხვით მიმართა, ექსპერტებსა და სკოლის წარმომადგენლებს დაეზუსტებინათ, როგორი იყოს სკოლის პოლიტიკა მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე, მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებასა და მხარდაჭერაზე.

ექსპერტმა, მანანა ალიბეგაშვილმა განაცხადა, რომ დაწესებულება 7-წლიანი სტრატეგიული გეგმის მიხედვით, 3 სტრატეგიულ მიმართულებად ასახელებდა ორგანიზაციულ განვითარებას.

დაწესებულების დირექტორმა განაცხადა, რომ პედაგოგთა განვითარების თვალსაზრისით, მასწავლებლები გაკვეთილებზე ესწრებოდნენ ერთმანეთს, ხოლო კათედრის სხდომაზე ერთმანეთს უზიარებდნენ უკუკავშირს.

საბჭოს წევრმა, მაკა მამფორიამ, კითხვით მიმართა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ექსპერტს, დაეზუსტებინა რა მდგომარეობაში იყო საბუნებისმეტყველო ლაბორატორია და რამდენად თანამშრომლობდნენ ერთმანეთთან საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის წევრები. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, ექსპერტმა, მზევინარ დარბაისელმა განაცხადა, რომ საბუნებისმტყველო ლაბორატორია აღჭურვილი იყო შესაბამისი რესურსებით და საჭირო ინვენტარით. მისი თქმით, ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები იზიარებდნენ ერთმანეთის გამოცდილებას, ესწრებოდნენ გაკვეთილებზე ერთმანეთს და აძლევდნენ უკუკავშირს. ექსპერტმა, მანანა როსტომაშვილმა დასძინა, რომ სკოლის სასწავლო პროცესის წარმატებით წარმართვას მშობელთა აქტიური ჩართულობაც უწყობდა ხელს.

საბჭოს წევრმა, ნატო გაბოშვილმა, მიმართა სკოლის წარმომადგენლებს განემარტათ რა აქტივობებს ახორციელებდნენ არაფორმალური განათლების ფარგლებში. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, სკოლის დირექტორმა ნელი ჯანანაშვილმა განაცხადა, რომ სკოლამ განახორციელა ორი პროექტი: კულტურული მემკვიდრეობა და გარემოს დაცვა. სკოლა აქტიურად თანამშრომლობდა მუზეუმებთან.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ, კენჭისყრაზე სსიპ - სსიპ-კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ კავთისხევის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 200-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11
წინააღმდეგი - 1

საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა განმარტა, რომ დაწესებულებას არ ჰქონდა შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნა. შესაბამისად, მოსწავლეთა უსაფრთხოებისა და მათი საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, არ დაუჭირა მხარი სკოლის ავტორიზაციას.

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-4 პუნქტების, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ -კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ კავთისხევის საჯარო სკოლას (ს/კ: 232579652) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 200 - ით.

დაწესებულებას მიეცეს უფლება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	კასპის მუნიციპალიტეტის სოფელი კავთისხევი 39–ე ქუჩა N 7
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	კასპის მუნიციპალიტეტის სოფელი კავთისხევი 39–ე ქუჩა N 7
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	კასპის მუნიციპალიტეტის სოფელი კავთისხევი 39–ე ქუჩა N 7

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგის დაწყების პერიოდი: 2024 წლის სექტემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა: დოკუმენტაციის წარმოდგენა ცენტრში;

მონიტორინგის ფარგლები: მესამე სტანდარტის 3.4 და 3.6 კომპონენტები.

6. სსიპ - თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ტუშურების საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა ნინო ბასილიამ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - თიანეთის მიუნიციპალიტეტის სოფელ ტუშურების საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 27 და 28 ივლისს. დაწესებულება მდებარეობდა თიანეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ ტუშურებში. სკოლა სწავლას ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ქართულ ენაზე. სკოლას თვითშეფასების კითხვარში მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 90 მოსწავლე. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლაში ადგილზე ვიზიტისას იყო მხოლოდ 70 სასკოლო მერხი და ამდენივე სასკოლო სკამი. აღნიშნული ინვენტარის გათვალისწინებით, ექსპერტის განცხადებით, სკოლის მიერ მოთხოვნილ რაოდენობას (90 მოსწავლე) ექსპერტთა ჯგუფი არ დაეთანხმა.

ექსპერტმა, ნათელა ბასილიამ ისაუბრა სკოლის მატერიალურ რესურსსა და ინფრასტრუქტურის შესახებ. მან აღნიშნა, რომ სკოლის შენობის შემადგენლობაში შედიოდა სამი, ერთმანეთთან გადაბმული სამსართულიანი, ერთსართულიანი და ორსართულიანი შენობა. ექსპერტის განცხადებით სკოლა, რომლიც გამოირჩეოდა ნათელი, ვრცელი, სასიამოვნო შიდა და გარე სივრცეებით, 1700 კვ.მ- ზე ფართობზე მდებარეობდა.

ექსპერტმა სკოლის საუკეთესო პრაქტიკის ფარგლებში აღნიშნა, რომ სკოლის შენობის გვერდით, სკოლის ეზოში მდებარეობდა საბავშვო ბაღი, რომელიც სკოლასთან ერთად აქტიურად ახორციელებდა სოფლისთვის მნიშვნელლოვან, სხვადასხვა სახის პროექტებს.

ექსპერტმა, ნათელა ბასილიამ, ისაუბრა სკოლაში არსებულ თანამშრომლობით გარემოზე და ხაზი გაუსვა სკოლის მასწავლებლებს შორის კოლეგიალურ და მეგობრულ დამოიკიდებულებას. ისინი აქტიურად მონაწილეობდნენ სხვადასხვა საგნობრივი კათედრის დოკუმენტების შემუშავებაში.

ექსპერტის განცხადებით პირველი და მეოთხე სტანდარტი შეფასდა შესაბამისად, მეორე სტანდარტი- მეტწილად შესაბამისად, ხოლო მესამე სტანდარტი - ნაწილობრივ შესაბამისად.

ექსპერტის განმარტებით 3.1, 3.4 და 3.6 კომპონენტები შეფასდა მეტწილად შესაბამისად. მეორე სტანდარტთან დაკავშირებით ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა შესაბამისობაშია, ხოლო საბაზო და საშუალო საფეხურის პროგრამა მეტწილად შესაბამისობაში.

ექსპერტმა ნათელა ბასილიამ ისაუბრა გამოვლენილ ხარვეზებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ პირველი სტანდარტის შესაბამისად სკოლას არ ჰქონდა დამტკიცებული შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა და ასევე ერთლიანი სამოქმედო გეგმა. ექსპერტის განცხადებით მესამე სტანდარტში გამოვლინდა მთელი რიგი ხარვეზები. სკოლის შინაგანაწესის მე-6 მუხლით განსაზღვრული თანამშრომლის მიღების წესი არ იყო შესაბამისობაში ბრძანებით გასაზღვრულ რეგულაციებთან. სკოლის მოქმედი პერსონალის პირად საქმეში არ იყო სავალდებულოდ წარმოსადგენი ცნობები. ექსპერტის განცხადებით დარღვევა იყო სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის საკითხში - სკოლის ტერიტორია არ იყო ღობით შემოსაზღვრული, სკოლას არ ქონდა დასკვნა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ,სკოლას ასევე არ გააჩნდა საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა და დასკვნა შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოებაზე. სკოლა არ იყო აღჭურვილი ვიდეოსათვალთვალო კამერებით. ექსპერტის განცხადებით, სკოლას არ ქონდა ლიფტი და/ან მოძრავი პანდუსი, რაც შშმ პირს სკოლის მთელ ტერიტორიაზე მისცემდა გადაადგილების საშუალებას. მესამე სტანდარტის ფარგლებში სამი კომპონენტი დახარვეზდა სკოლის ვებ გვერდის არარსებობის გამო.

ექსპერტის, ნათელა ბასილიას განცხადებით სკოლას ქონდა კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები და ინფრასტრუქტურა, დახურული და ღია დარბაზი, შესაბამისი ინვენტარი, ასევე კომპიუტერული ლაბორატორია.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერილი ვადების მიხედვით, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

საბჭოს თავმჯდომარემ, კითხვით მიმართა ექსპერტებს, შეძლებდა, თუ არა სკოლა 90 მოსწავლისთვის გაეწია შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურეობა.

ექსპერტებმა დაადასტურეს, რომ დაწესებულება შეძლებდა 90 მოსწავლისთვის შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურების გაწევას.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიზანშეწონილად მიიჩნია მეორე სტანდარტის ყურადღებით გადახედვა. ასევე მნიშვნელოვანი იყო პირველი, მეორე და მესამე სტანდარტის მონიტორინგი.

თამარ მამსიკაშვილმა სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს მიმართა კითხვით, რამდენი წელია, რაც ის აღნიშნულ სკოლაში ასრულებდა დირექტორის მოვალეობას და აპირებდა თუ არა სამომავლოდ სკოლის ხელმძღვანელობას. სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, მზია მამულაშვილმა, აღნიშნულ კითხვაზე უპასუხა, რომ სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად დანიშნული იყო 2020 წლის სექტემბრიდან, ხოლო მომავალში დირექტორის პოზიციის დაკავებას არ აპირებდა.

სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრლებელმა აღნიშნა, რომ სკოლას დაწყებული ქონდა პროცესები გაცემული რეკომენდაციების შესასრულებლად. კერძოდ უკვე შემუშავებული ჰქონდათ შვილდწლიანი სტრატეგიული გეგმა და შესაბამისად ერთწლიანი სამოქმედო გეგმაც. სკოლის წარმომადგენლის განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოვლენილი ხარვეზების ნაწილი დაძლეულია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ, კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ტუშურების საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 90-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11
წინააღმდეგი - 1

საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა განმარტა, რომ დაწესებულებას არ ჰქონდა შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნა. შესაბამ, მოსწავლეთა უსაფრთხოებისა და მათი საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, არ დაუჭირა მხარი სკოლის ავტორიზაციას.

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-4 პუნქტების და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - თიანეთის მიუნიციპალიტეტის სოფელ ტუშურების საჯარო სკოლას (ს/კ: 232387663) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 90 - ით.

დაწესებულებას მიეცეს უფლება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	თიანეთის მუნიციპალიტეტი სოფელი ტუშურები
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	თიანეთის მუნიციპალიტეტი სოფელი ტუშურები
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	თიანეთის მუნიციპალიტეტი სოფელი ტუშურები

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგის დაწყების პერიოდი: 2025 წლის სექტემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ადგილზე ვიზიტი;

მონიტორინგის ფარგლები: პირველი სტანდარტი, მეორე სტანდარტი და მესამე სტანდარტის 3.1, 3.4, 3.5 და 3.6 კომპონენტები.

7. სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხელთუბნის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საბჭოს სხდომაზე ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 27 და 28 ივლისს. დაწესებულება მდებარეობდა გორის მუნიციპალიტეტ სოფელ ხელთუბანში. სკოლა სწავლას ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე, პროგრამების განხორციელების ენა იყო ქართული.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ პირველი და მეორე სტანდარტი შეფასდა, როგორც სტანდარტთან შესაბამისი, მესამე სტანდარტი ნაწილობრივ შესაბამისად, ხოლო მეოთხე სტანდარტი შეფასდა ნაწილობრივ შესაბამისად, გამომდინარე იქიდან, რომ 3.4, 3.6 და 4.1 კომპონენტები შეფასდა მეტწილად.
ექსპერტი, ლელა ფიცხელაურის განცხადებით, სკოლას 2016-17 წლებში ჩაუტარდა სრული რეაბილიტაცია ათასწლეულის გამოწვევის ფონდის მიერ. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლას აქვს კომპიუტერული ლაბორატორია, სადაც განთავსებულია 25 პერსონალური კომპიუტერი, 21 ლეპტოპი, 7 პროეტორი და 3 პრინტერი. სკოლას ასევე აქვს შიდა და გარე სივრცეები სპორტული აქტივობებისთვის, სააქტო დარბაზი, ბიბლიოთეკა, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები, რომლებიც აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, სსსმ პირთათვის ადაპტირებული შესასვლელი, სველი წერტილი და საკლასო ოთახი.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ სასკოლო ცხოვრებაში აქტიურად იყო ჩართული მოსწავლეთა თვითმმართველობა. მოსწავლეთა პროექტმა მოიპოვა გრანტი, რის ფარგლებშიც სკოლის ეზოში დარგეს ხეები და მოეწყო სარწყავი სისტემა. მრავალფეროვანი აქტივობები ადასტურებდა, რომ სკოლა ორიენტირებული იყო მოსწავლის განვითარებაზე. ექსპერტის განცხადებით, სამოქალაქო განათლების კლუბის ფარგლებში, მოსწავლეებმა მოიპოვეს გამარჯვებები სხვადასხვა პროექტებში, ასევე მისივე თქმით, მოსწავლეებმა წარმატებას მიაღწიეს დებატთა კონკურსებში და „flex”-ის პროექტში.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, კითხვით მიმართა ექსპერტ, ლელა ფიცხელაურს, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაცია ეხებოდა მხოლოდ უფლებამოსილ ორგანოსთან საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმების ნაწილს, თუ საგანგებო სიტუაციების მართვის ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ნაწილსაც.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლას უკვე ჰქონდა მიმართვა სახანძრო უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, თუმცა გარკვეული რეკომენდაციები ვერ განახორციელა არასაკმარისი ბიუჯეტის გამო.
საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან

საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა, აღნიშნა, რომ რეკომენდაციების გაცემა საგნობრივი ექსპერტების მხრიდან კარგი იქნებოდა არამხოლოდ საბუნებისმეტყველო და სპორტის კურიკულუმებთან მიმართებაში, არამედ სხვა საგნების მიმართაც.
საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა, ნიკოლოზ გურგენიძემ, აღნიშნა, რომ რეკომენდაციები გაიცა აღნიშნული საგნების გარდა სხვა საგნებშიც, კონკრეტულად, მისი მხრიდან საგან, „მე და საზოგადოებასთან“ მიმართებაში, რაც ვიზიტის მიმდინარეობისას გათვალისწინებულ იქნა სკოლის მხრიდან.
საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ, კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს ინდიკატორ 4.1.1.3-თან მიმართებით, ჰქონდა თუ არა სკოლას დანერგილი ხელშეკრულების გაფორმების პრაქტიკა.
სკოლის დირექტორმა, ფიქრია მუმლაძემ, აღნიშნა, რომ სკოლამ ახალი სასწავლო წლიდან მოსწავლეების მშობლებთან გააფორმა ხელშეკრულებები, ასევე მას ჰქონდა დანერგილი ეს პრაქტიკა, თუმცა პანდემიით გამოწვეული შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე დროებით შეჩერებული იყო ეს პრაქტიკა.
სკოლის დირექტორმა, ასევე ისაუბრა სხვა რეკომენდაციებთან მიმართებაში და აღნიშნა, რომ სკოლის ვებ გვერდზე მუშაობა დაწყებულია, სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნის მოპოვება ვერ განხორციელდა არასაკმარისი თანხების გამო, ხოლო საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შექმნილია და მხოლოდ მოითხოვს ამ გეგმის უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებას, რადგან სკოლა იმყოფება ახალი სტანდარტებით დადგენილი საევაკუაციო გეგმის დამტკიცების მოლოდინში.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
ცენტრის წარმომადგენელმა, სკოლის მიერ ცენტრში წარმოდგენილი წერილის საფუძველზე, შუამდგომლობა დააყენა მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის თაობაზე. სკოლის მიერ თვითშეფასების ფორმის მიხედვით მოთხოვნილი 381 მოსწავლის ნაცვლად, ყოფილიყო 500 მოსწავლე.

საბჭოს თავმჯდომარემ, კენჭისყრაზე დააყენა სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხელთუბნის საჯარო სკოლის ავტორიზაციის და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 500-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11
წინააღმდეგი - 1

საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა განმარტა, რომ დაწესებულებას არ ჰქონდა შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნა. შესაბამისად, მოსწავლეთა უსაფრთხოებისა და მათი საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, არ დაუჭირა მხარი სკოლის ავტორიზაციას.

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-4 პუნქტების, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხელთუბნის საჯარო სკოლას (ს/კ: 218049270) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 500 - ით.

დაწესებულებას მიეცეს უფლება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	გორის მუნიციპალიტეტის სოფელი ხელთუბანი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	გორის მუნიციპალიტეტის სოფელი ხელთუბანი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	გორის მუნიციპალიტეტის სოფელი ხელთუბანი

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:
მონიტორინგის დაწყების პერიოდი: 2025 წლის სექტემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები: მეორე სტანდარტი და მესამე სტანდარტის 3.4 და 3.6 კომპონენტები.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა 17:30 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა